ფასი 1 მან.

ახალი ნაკადი

საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიის

სუთშაბათი. 6 მარტს,

№ 12 1919 წ.

გამოსცემს ყოველ კვირაში ორჯერ — კვირაობით და სუთშაბათობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება წელის მოწერა 1919 წლისათვის

გ ა ზ ე თ

„ახალი ნაკადი“-ზე

გაზეთი გადიდებული ფორმატით გამოვა კვირაში ორჯერ — კვირაობით და ხუთშაბათობით.

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

ერთი თვით 7 მან., ცალკე ნომერი 1 მან.

დაკვეთა შეიძლება წლიურად. მიიღება განცხადება.

ხელის მოწერა მიიღება გაზეთის კანტორაში სასახლის ქ. № 5, ქართველთა კლუბის შენობ. ყოფილ სამხედ. კავშირის ოთახში. იქვე შეიძლება მდივნის ნახვა დილის 9—2 საათამდე და საღამოს 6—8-დენ.

მუშა მაშვრალნო ყურადღებით!

ნება მიეცით თქვენი ინტერესების შედეგ. დამცველს საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიის სიას

№ 6

ჩვენი კანდიდატები ქუთაისის საქალაქო არჩევნებში.

1. ფანცხავა იაკობ სპირიდონის-ძე—პუბლიცისტი, საზ. მოღვაწე საკ. კომიტ. თავმჯდომარე.
2. მხეიძე ალექსანდრე სამსონის-ძე—პროვიზორი, ფარმაცევტთა კავშ. თავმჯდომარე პროფ. კავშ. ცენტ. საბ. წევ.
3. გერსამია სერგო ლუკას-ძე—ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე.
4. აბდალაძე სერგო მიხეილის-ძე—ქარხნის მუშა საგ. კომიტ წევრი.
5. ჩხეიძე ალექსანდრე ლევანის-ძე—ბუხგალტერი, საგ. კომიტ. წევრი.
6. ფხაკაძე ივანე ფილიპეს-ძე—სასამარ. მოღვ. მოხ. კავ. თავმჯ. ამხ.
7. ჭიჭინაძე იოსებ ლუკას-ძე—მუშა, დარაჯთა პროფ. კავშ. მდივანი.
8. გურგენიძისა ეკატერინე ალექსის-ასული—მასწავლებელი.
9. ავალიანი პარმენ ნესტორის-ძე—მუშა ხელოსანი.
10. მჭედლიძე სვიმონ სპირიდონის-ძე—მასწავლებელი საგ. კომ. წევრი.
11. ტოგონიძე ვენედიქტე ანტონის-ძე—მასწავლებ. სამზრ. კომის და მომხმ. საზ. სარევ. კომ. წევრი
12. ცქიტიშვილი ნესტორ სვიმონის-ძე—მუშა.
13. იაშვილი აკაკი მურზაყანის-ძე მოხელე, საგანგებო სასამ. მდივანი
14. ჭარხალაშვილი ერმალოზ ვასილის-ძე—ბანკის მოხელე.
15. ჟორჟოლიანი სვიმონ ლუარსაბის-ძე—მუშა ხელოსანი.
16. მესხი სვიმონ პეტრეს-ძე—მეოჯახე.
17. მხეიძისა ანტონინა ნიკოლოზის-ასული—მეოჯახე.
18. ტყემელაშვილი ვიქტორ ვასილის-ძე—ქარხნის მუშა, პროფ. კავ. გამგეობის წევრი
19. ასათიანი კონსტანტინე პავლეს-ძე—სტუდენტი.
20. კიკ[illegible]ძე პოლიტე ალექსანდრეს-ძე—სტუდენტი.
21. ბოკორიშვილი ვიქტორ ივანეს-ძე—სტაბმის მუშა.
22. გიორგობიანი სვიმონ ლავრენტის-ძე—სტუდენტი.
23. ალავიძე ვარლამ სამსონის-ძე—აფთიაქში მომუშავე.
24. კაპანაძე გიორგი ლავრენტის-ძე—მუშა სახალხ. სკოლ. ინსპ. მწერ.
25. ჩაკვეტაძე ნიკოლოზ ნესტორის-ძე—აფთიაქში მომუშავე.

დედა ქალაქი. მარტს 6 1919 წ.

ბრძოლა არსებ. ჩრდილოეთ კავკასიაში. საბრ. დიდ თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებენ მთიულები წინააღმდეგ იმ მავი ძალისა, რომელიც დენიკინის რაზმების სახით მოეკვლინა მათს ქალაქ. თავისუფალ შვილებს ცხობილი გენერალ ლიახოვის რაზმები, შეესიენ მშვიდობიან მცხოვრებლებს, არბევენ, აწიოკებენ და განადგურებით ემუქრებიან. საშინელებაა ეს ბინდალთა შემოსევა იმათთვის, ვისაც ბევრი მწარე ოგონება დარჩენია რუსეთის მეფის ზნე-დაკეკულ მსახურთ. თვითნებობისა. საშინელი იყო მთიულებისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში თვით რუსეთის გამეფება აღსრულებულ საუკუნეში. ვინ იცის, რამდენმა გმირმა დალია მაშინ სული თავისუფლებისთვის ბრძოლაში. ვინ იცის რამდენმა მიტოვა თავისი კერა, მშობელი ქალაქი, საყვარელი და ძვირფასი ნაკვები და შორს გადახვეწა, რომ იქ ქალაქ. ბრძოლთა მოხუცთა და ბავშვთა და თავიდან აეცდინა ქალაქის ნაბუსის ახდა. და რაკი დაიწყო დიდი რევოლიუცია, მთაც ფეინძრა, შეტორტმანდა ახალი ცხოვრების შექმნა განიზრახა, თავისუფლებას დაეწაფა მაგრამ, საკვირველი არ არის, თუ ამას ვერ შეეფიფდენ მოხალისეთა ის მეთაურები, რომელთაც კვლავ ძველი რუსეთის ძველი რეჟიმის სახით აღდგენა განუზრახავს. დენიკინის ჯარი უკვე გროზნას მიუახლოვდა და წინააღმდეგობას აძლევს მთიელთა მიაკოლობას ფარი განაცხადოს თავის უფლებაზე და დაშალოს თვისი ჯარი. ამითაც არ კმაყოფილდება გენერალი ლიახოვი, თერგისა და დაღესტნის ჯარების საროლლავ გამოცხადებული, მას განუზრახავს დაარღვიოს მთიელთა კავშირი და თითეული ოლქს მეტჩინოს თვის გენერალი, რომელიც შეეცდება ყველგან განამტკიცოს რეაქცია და ალაგმოს რევოლიუცია.

და რაკი დაინახეს მთიელებმა, რომ განსაცდელში ჩავარდა ძათი თავისუფლება და ფიზიკური აუსებობაც კი, თავგანწირულად ეკვეთენ მტრებს მამაცურად ესალმებიან წუთისოფელს, რომ მკერდით დაიცვან თვისი მთის ბუდეები.

ეჭვი არ არის, ქართველი მშრომელი ხალხის სიმპატია და უღრმესი თანაგრძნობა საკვებით მთიელებისკენაა და ჩვენ სიამოვნებით წავიკითხეთ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პროტესტი, მოძალადეთა წინააღმდეგ მიმართული. მაგრამ საჭიროა არა მარტო პროტესტი, არამედ დახმარება, რითაც კი ეს ამჟამად შესაძლებელია.

ჩვენ გულგრილად ვერ შეეხედავთ იმ მოვლენას, როდესაც შავი რეაქცია თავის ბინძურ საქმეს ანხორციელებს ჩვენ შეზობელ მთიელთა შორის..

რას ვემსახურებით.

(გაგრძელება) *)

ჩვენი წერილის შესავალში ჩვენ მოკლედ აღვნიშნეთ ის უმთავრესი დებულებანი, რომელზედაც უნდა დაეყრდნოს მაშვრალთა პარტიის მოწამსი. ეჭვი არ არის თითოეული ეს დებულება განმარტებული და დასაბუთებული უნდა იქნას. ჩვენც შევეცდებით ამ ბოლოეულობის შესრულებას და ვიხილავთ ამს. მკითხველებს. ვისაც ნამდვილად ეინტერესება ჩვენი სულის კვეთება. გულდასმით მოგვისმენონ. და თუ ჩვენს მსჯელობაში იპოვიან შესაძლებელ შეცდომათ და თუ გნებავთ. ლოდიკურ წინააღმდეგობათაც, კეთილ ინებონ და მოგვაწოდონ თვისი შენიშვნები. ჩვენი გაზეთის ფურცლები ასეთ შენიშვნებს სიამოვნებით ეაეთმობა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჯერ კიდევ ბევრ სასარგებლო ცნობებს შივიღებთ თვით ცხოვრების უტყუარი დაკვირვებისა ჩვენი მოპირდაპირენი ულირსი საშუალებით დაგვიწყებენ გაკილვას: ჩვენ მუდამ გვახსოვს დიდებული ვიოტეს სიტყვები: „სიცოცხლისა და თავისუფლების ღირსი მხოლოდ ის არის, ვინც ვალდებულია ყოველ დღე მოიპოვოს ეგინია“.

———

სხვა და სხვა ჯურის სოციალისტებისაგან მუშათა კლასს არა ერთგზის სმენია: მუშათა გათავისუფლება—მუშათა საქმეია. ჩვენც უაღრესად ასე ვფიქრობთ: ჩვენის ღრმა რწმენით მშრომელთა გათავისუფლება მხოლოდ მშრომელთა მიერაა შესაძლებელი მაგრამ საჭიროა ამ სიტყვების სათანადო განმარტება. თორემ წარმოსადგენია—და ეს ასეც ხდება, რომ ბევრი ამ სიტყვების ხმარებით კმაყოფილდება და მასში საჭიროა შინაარსი არ შეაქვს. და კაპიტალისტურ ქვეყნებში არა სოციალისტებიც კი დაადგენ სოციალური კანონმდებლობის გზას და უნდათ დაუმტკიცონ მუშათა კლასს, რომ მათი გული და სული გაშრომელთადმი კეთილი გრძნობებითა და სურვილებითაა აღსავსე. საფრანგეთში სენატორმა რიეემ ასეთი სიტყვებით გამოხატა თვისი თანამოაზრეების აზრი: „ჩვენ სუსტია, ჩაგრულთა, ტანჯულთა და ღარიბთა მიმართ მუდამ კეთილად განწყობილი ვართ. ჩვენ რესპუბლიკური დეევიზის უმაღლეს მოწოდებად ყოველთვის ვსთვლიდით—მოწოდებას ძმობისადმი, რომელიც სხვა არა არის, თუ არა პოეტური გამოხატულება თანხმობის გრძნობისა, რომელსაც მიზნად აქვს ყველა ადამიანი ძმებად გახადოს-ო“. ასეთი სიტყვებით ჰფიქრობდენ მშრომელთადმი „კეთილ განწყობილი“—პირები ხალხის სიმპატიის დამსახურებას და მათი ხმებით საკუთარი პოლიტიკური კარიერის შექმნას. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ უაღრესად კაპიტალისტ. და დემოკრატიულ ქვეყანაში ბურჟუაზიული კლასი მცველისა და მხსნელის სამოსით ეკლინება მუშათა კლასს, აჩვენებს მათ კლასობრივ თვითშეგნებას და „განათლებულად“ ხელს უწყობს კაპიტალისტთა ნიკოიერი ინტერესების უსაზღვრო ზრდა-განვითარებას. მზგავს ქვეყნებში დღემდის ნელის ნაბიჯით ვითარდებოდა და გინდა სოციალისტური და რევოლიუციური მიმართულება და კლასთა შორის ბრძოლაც მკრთალად გამოსჩანდა ხალხის საერთო ცხოვრებაში, ასეთ მოვლენას განსაკუთრებით კაპიტალიზმის „აღთქის ქვეყანაში“—ამერიკის შერთებულ შტატებში ჰქონდა ადგილი. მართალია, ფრიად საეურადღებოა ამ მოვლენის სათანადო შესწავლა და დაფასება, მაგრამ ამაზე ერმდეგ გვეცნება საუბარი.

მეორეს მხრივ სხვა და სხვა ქვეყნის მოწინავე ინტელიგენციაც ცდილობს მიიზიდოს მუშათა კლასის ყურადღება, მოუწოდებს მას პოლიტიკური ბრძოლისაკენ და სახელმწიფოს ამაობის ხელში ჩაგდებით პირდება მას დიდი სოციალური ტრანსპორმაციის ცხოვრებაში გატარებას. ვერვინ უარყოფს იმ დიდ ღვაწლს, რომელიც მოწინავე ინტელიგენციას მოუძღვის კაცობრიობის გონებრივი და სულიერი ცხოვრების ადორძინებაში: არაჩვეულებრივის სიყვარულითა და თავდადებით ეკვეთა იგი წარსულში გარემოცულ სიბნელეს და მთელის ენერგიით მიეკა „ბატონ-ყმური წესების“ დაუნდობელ აღმოფვრას იგი ლამობდა წოდებრივი და კლასობრივი პრივილეგიების საბოლოო მოსპობას და თავის ლამაზ ბრძოლაში არც თვალ მაქცობდა და არც ფასავდა მელის წინაშე თავის წმინდა ზრახვებს. და როდესაც მეტრიამახალებდა თვის ცარიელ და ავ-როვებდა ბრძოლისათვის თვის ლაშქრობას, მოწინავე ინტელიგენციაც ანტიური სიმამაცით გასაგრძობდა თვის ბრძოლას და ბევრიც შეიქმნა მსხვერპლი ამ ბრძოლისა. მათ ხალხის თვალში მოიპოვეს დადებისა და მოწამის მარვანდელი... მაგრამ მას შემდეგ, რაც ხელშესახებელი შეიქნა ის დემოკრატიული თავისუფლება, რომელმაც ადგილი მოიპოვა დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში მაინც, დიდი ნაწილი ამ ინტელიგენციისა შესდგა, თვისი მოვალეობა დამთავრებულად ჩასთვალა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში უახლესი მონაწილეობა გაიხადა თავის ახალ დანიშნულებად. ხოლო დემოკრატიული თავისუფლების ვითომდა მოპოებით გაბრწყინებული ბურჟუაზიის ზეიმი კი პირველად და-

*) იხ. „ახალი ნაკადის“ № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არღვია პროლეტარების ჯერ კიდევ სუსტმა, მაგრამ უკვე გარკვეულმა ეიფინამ, რომელმაც ალაზე შეამჩნოთა ბურჟუაზიული ინტელიგენცია. და ინტელიგენტური ლიბერალიზმის წინაშე თავი წამოყო მისთვის საშინელმა საფრთხემ—სოციალიზმა. და ვერავითარმა ღონემ, ვერც შეაცრმა სასჯელმა ვერ შეაფერხა სოციალისტური აზროვნების გავრცელება. იგი მოედო ხალხის ფართო წრეებს და რასაკვირველია, ყველაზე მეტად მუშათა კლასში გაიჩინა ფართო ბინა, ინტელიგენციის ნაწილი, რომელმაც „შეითვისა სოციალისტური მრწამსი, ამ მოძღვრების გავრცელებასა და მის განხორციელებაზე. რაკი თვით ამ ინტელიგენციის ვერ ჭქონდა საკუთარი გარკვეული გზა, რომელზედაც უნდა გაევლო მუშათა კლასს საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლაში. ის სოციალისტური პარტიები, რომელთაც დიდი გავლენა მოიპოვეს მუშათა წრეებში, უპირველეს მიზნად სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში „გაბატონებას ისახავდენ მიზნად და შემდეგ ლემოკრატიზმის საშუალებით სოციალიზმის დამყარებას ესწრაფოდენ. თუ ამ მიზნის მამამთავართ შეიძლება გულწრფელად სჯეროდათ არჩეული გზის უღრესი მიზანშეწონილება და სიმართლე, შემდეგში ასეთი მიმართულება ბევრმა ინტელიგენტმა, დეპუტატმა რომელმაც მიიღო მანდატი პარლამენტში მუშათა ინტერესების დაცვისა, დაიკიწყა თვისი უმთავრესი მოწოდება და უკეთეს შემთხვევაში ვითომდა მშრომელთა ინტერესების სასარგებლოდ ბურჟუაზიასთან სრული თანამშრომლობა დაიწყო, ხოლო ზოგჯერ პირად კარიერისა და წარმატების მიაქცია უმთავრესი ყურადღება და ნამდვილი „გემეფტმახეობა“ გაიხადა თავის ხელობად.

ევროპის მოწინავე ქვეყნებში წარმომადგენლობითმა სისტემამ უაღრესად ბურჟუაზიული ფორმა მიიღო და დეპუტატები იძულებული შეიქნენ ამა თუ იმ საყურადღებო საკითხის გადაწყვეტის დროს მხედველობაში მიეღოთ და აეწონ-დაეწონათ იმ ჯგუფების ღირებულება, რომელთაც განსაზღვრული კანონი შეეხებოდა. აქედან კი თავის თავად გამომდინარეობს მუდმივი შეთანხმება სხვა და სხვა წრეებისა და სოციალისტების ბურჟუაზიასთან ალიანსიც სწორედ აქედან იწყება. და რომ სოციალიზმი „ისეთსავე გადაგვარების გზას არ დასდგომოდა, როგორსაც წარსულში „დაადგა ქრისტიანობა, მატარებელი და ბურჯი სოციალისტური მიმდინარეობისა—მუშათა კლასი იძულებული შეიქნა ლაწყო თავისი შეკავშირება.

ჩვენ ვსთქვით, პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლამ დიდი მსხვერპლი შეიწირა და გაკვრით ისაც აღვნიშნეთ, რომ ბევრს გულწრფელად სჯეროდა, რომ პოლიტიკურ თავისუფლებას თან მოაყვებოდა ადამიანის სრული ბედნიერება. საფრანგეთის დიდ რევოლიუციას ახასიათებდა განსაკუთრებით ერთი გარკვეული აზრი: ხალხოგადებრივი გაპირვების უმთავრეს მიზეზად დასახული იყო ძველი პოლიტიკური და სოციალური წესწყობილება, რომელიც რევოლიუციის შესვლისთანავ განმარტებით შედეგი იყო პიროვნების თანასწორობისა და თავისუფლების ბუნებრივი უფლების უარყოფისა. რევოლიუციის მსვლელობამ და მისმა დასასრულმა ხაზგასმით დაანახვა ყველას, „მ პოლიტიკური თავისუფლება სრულიად „ეწყო თავისი შეკავშირება.

ჩვენ ვსთქვით, პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლამ დიდი მსხვერპლი შეიწირა და გაკვრით ისაც აღვნიშნეთ, რომ ბევრს გულწრფელად სჯეროდა, რომ პოლიტიკურ თავისუფლებას თან მოაყვებოდა ადამიანის სრული ბედნიერება. საფრანგეთის დიდ რევოლიუციას ახასიათებდა განსაკუთრებით ერთი გარკვეული აზრი: ხალხოგადებრივი გაპირვების უმთავრეს მიზეზად დასახული იყო ძველი პოლიტიკური და სოციალური წესწყობილება, რომელიც რევოლიუციის შესვლისთანავ განმარტებით შედეგი იყო პიროვნების თანასწორობისა და თავისუფლების ბუნებრივი უფლების უარყოფისა. რევოლიუციის მსვლელობამ და მისმა დასასრულმა ხაზგასმით დაანახვა ყველას, „ მ პოლიტიკური თავისუფლება სრულიად „ეწყო

სომეურ მონობას და რომ ბირველი მეორის გამოგლეჯით უძლურია „მანიშნის ბირთვსავს ჩეშმარიტი და „ასებითი თავისუფლება შეეძლოს ბეცაბეტე საუკუნის უკვე პირველ ნახევარშივე, როდესაც ბარკვეულად ჩამოყალიბდა ლიბერალიზმის თეორია მისი ინდივიდუალური თავისუფლების ტრადიციითა და წმინდა პოლიტიკური რეფორმების მოთხოვნის სახით, ყველასათვის ცხადი შეიქნა ლიბერალიზმის ცხოვრების გარდაქმნაში სრული უმწეობა და უსუსურობა და „ევლეა—ძიებით ჭირვეული პირველის „ყურადღება სულ სხვა მხრივ პოლიტიკური უფლებათათვის ბრძოლაში „ეშარჯვებული გამოვიდა „კაპიტალისტური ტერესები „ბარკვევით მოიფიქრეთ სახელმწიფოებრივი მეკანიზმის ლიბერალიზმის „ინდეგზე „ეგების, რათა თავისუფლად განეთავრებულიყო „კაპიტალისტური წარმოება და „ამუდამად „ალამულ ყოფილიყო ძველი ფეოდალური შეკავშირებანი და რეგლამენტაციები. მაგრამ თუ „კაპიტალისტური წარმოება „ეალრეს განვითარების გზა დაადგა, ინდუსტრიალურ და „ეკონომიურ რევოლიუციას თან მოჰყვა გაძლიერება პროლეტარიატის რიცხვებისა, მათი „ლასიფიკაციი თვითშეგნებისა და „ეავსებადად წამოიჭრა „ეალიდგეი საკითხი—მუშათა საკითხი. რაც „ეფრო „ვითარდებოდა მრეწველობა და „ზრდებოდა მრეწველობა სიმდიდრე, მით „ეფრო თვალსაჩინო და ხელშესახები ხდებოდა კონტრასტი მრეწველთა და მშრომელთა „ეკონომიური მდგომარეობის შორის და „ეს საკითხი „ეგდა იმ ფოკუსად, სადაც თავს იყრიდა ახალი თაობის „ეონგსტრიული ნაშრომის ხსიყვები.

რასაკვირველია, ბირველად არ მიუქცევია „ადამიანს „ეონგების თვისი თვალი „ეკონომიური უთანასწორობისათვის. ჯერ კიდევ მე-7-ე საუკუნეში (ქრისტეს წინ). როდესაც საბერძნეთში ნატურალური მეურნეობა კაპიტალისტური წარმოებით შეეცვალა და ფართო ასპარეზი მიეცა თვითნებობისა და „შრომელთა „ეკსპლოატაციის, „წერილი ჰესიოდე ერთ ოგავში ბულბულსა და „ეგერდენის შესახებ, ასეთი სიტყვებით გამოხატავდა ახალი კლასის „ბერ „შრომელთა დამონებაზ: „სულგლეთ“, „ეუბნებოდა მიმინო ხეკოდავ ბულბულს, ფოშლისაგან მაგრად გაეყარა კლანჭები და ხვით მიაკროლებდა:“ რას ყვირი? შენ ხ

ძლიერის ხელთა ხარ!... მსურს შეგეჭამ, მსურს—გაგათავისუფლებ. „ეგნურია ის, ვინც ძლიერთან ბძოლას მოისურვებს; ვერც გაიმარჯვებს და ბევრ დამცირებისა და „წუსარებას განიცდის“. ახალი ოგაბარა ოგბია მარდი „ეგერდენთ, ამბრძს პოეტი. და ამ მხრივ სურათი „ეკსტრემეტ საუკუნისათვისაც იგივეა. ახალი კლასი კაპიტალისტური ბურჟუაზიისა დაუნდობელი და შეუბრალებელი იყო იმათ მიმართ, ვისაც ბედმა თავისი მარჯვენის გაქირავება არგუნა. მე 19-ე საუკუნის დასაწყისში ინგლისში მომხდარი ინდუსტრიალური რევოლიუცია საშინელება იყო შრომის მაძიებელთათვის, განსაკუთრებით კი მცირეწლოვანთათვის. ერთის მწერლის აზრით, ირთდის მიერ ბავშვთა ლეგენდარული ამოგლეტა სრულიად მკრთალი დასაწყისი იქნებოდა იმ დაუნდობელი ჟლეტვისა, რომელიც ამ ახალ მოვლენას მოჰყვა თან.

მეცხრამეტე საუკუნეში მრეწველობის განვითარებისა და მის განუკრელ თანამგზავრ მოვლენათა განსახიერებასთან ერთად ლაიწყო უდიდესი მუშაობა სოციალურ პრობლემათა გარკვევისათვის და საფუძველი ჩაეყარა სხვა და სხვა სოციალისტურ მიმართულებას. უნდა ითქვას, „ რომ მე-19-ე საუკუნის სოციალისტური დოქტრინები სულ სხვა ხასიათისა არიან, ვიდრე იყვენ წარსულში. ძველად ფილოსოფოსები უმეტესად ჭქმნიდენ თვის წარმოდგენაში ახალ ხაზოგადოებათ რომლებიც სულ სხვა საფუძველზე უნდა ყოფილიყო აგებული, ვიდრე არსებული. და ასეთი შემოქმედება უმეტესად „ცნების სფეროს არ გასცილებია. მე-19-ე საუკუნის მოაზროვნე სოციალისტები. დარწმუნებული იყვენ, რომ მათი კონცეპციები უეჭველად პრაქტიკულად განხორციელდებოდენ.

ანაბაპტისტი.

რეოლიუციის სიმაგრე საქართველოში

პირველ დღეებში საქართველოს რეოლიუციამ თავის ბურჯათ ბუნებრივათ წამოაყენა გლეხთა და მუშათა საბჭოები რომლის მესვეურათ გამოვიდა ძველი მარქსიზმის მიმდევარი. მენშევიკურ შეხედულებისათვის შეუძლებელი იყო, რეოლიუციის ძალა უფლება გლეხთა, და მუშათა, საბჭოების ხელში ყოფილიყო. თუ პირველათ მაინც გაყვა მენშევიკები ამ უძლიერეს ლოზუნგს დიდი რეოლიუციისას. ეს ერთ გვარი პოლიტიკა იყო ქართველ მენშევიკების. რათა დიდი რეოლიუცია მათი მრწამსის, შეზავსათ ერთ ალაგას დაებათ.

ეს შესძლეს კიდევაც და საქართველოში არსებული გლეხთა და მუშათა საბჭოები

მენშევიკური პარტიის თანხმობის ობიექტათ აქციეს, რამნდენათ საბჭოების გავლენით პარტიამ პოლიტიკური ძალა უფლება ხელში ჩაიგდო, იმდენათ შეეკეცა ფრთები საბჭოებს.

ეხლა საქართველოს რეოლიუცია მეორე ხანაში გადადის.

სოციალისტური გლეხთა საბჭოების ადგილს იქერს ერობა. მენშევიკურ პარტიის გავლენით თავისი თავი ვარყო გლეხთა და მუშათა საბჭოებმა. მენშევიკურმა პარტიამ დაარწმუნა მუშათა და გლეხთა საბჭოების რეოლიეციის მონაპოვარს და მისი წინ მსვლელობას უფროს კარგათ შეუწყობს ხელს დემოკრატიული ერობა და დემოკრატიული რესპუბლიკა.

დღეს ერობაც გვაქს რომლის უმრალესობა სოციალისტურია დარომელმაც პირველი საერთო ყრილობა მოაწყო ოცდა ოთხს თებერვალს. და გრძელდება დღესაც. ბევრ რასმეზედ მსჯელობენ სოციალისტური ერობა? კომუნისტურ სოციალისტურ თუ ბურჟუაზიულს?

ჩვენი ღრმა რწმენით ეს მისაფუჩეჩელი კითხვები კი არა არამედ ყველა იმ „კითხვათა შორის რომელსაც არჩევს ერობა ყველაზედ მეტი ძირითადი საკითხია ეს ორი კითხვა. ღარიბ გლეხთა საბჭოების განვითარება და იმის ძალაუფლებაზედ დაყრდნობა და სოციალისტური ერობის მეურნეობაში კომუნისტური გლეხთა საამხანაგო მეურნეობის შექმნა.

ეს ორი კითხვა რეოლიუციის მსვლელობის საკითხია ვინც მისი მიფუჩეჩებას და ხელოვნურ ხელის შეშლას შეეცდება, უნდა ახსოვდეს რომ საქართველოს რეოლიუციას ჯერ არ უთქვამს „ანას ბოლო სიტყვა ის იტყვის საბოლავო სიტყვას და პასუხსაც მოსთხოვს მათ ვინც მისმესვეურობას დღეს ბურჟუაზიულ ბანაკისკენ ეწევა.

ძველი მუშა.

განსაცდელის მოლოდინში.

ჯერ კიდევ სანამ არსებობენ იმპერიალისტური სახელმწიფოები, და მათი ავრესიული პოლიტიკა საფრთხეს უმზადებს უფრო სუსტ პატარა ერებს, საჭირო და „აუცილებელია პატარა ერების შეკავშირება. დღევანდელმა უმაგალითო ომმა უკვე დაგვანახვა დაქსაქსვის და გათიშვის შედეგები ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე სადაც მცირე ერები ბინადრობენ (გაიხსენეთ ერთ ხელოვანი მოქმედების შედეგი ოსმალებისაგან თავის დახწევა) უკვე შეიქნა ამის მოწმე. კავკაზიის ერები განსაკუთრებული პირობებში ვართ, მდებარეობით „ეხსნება თუ სხვით გარშემო მტრები გვაბვევია და ლომობენ ჩვენს განადგურებას, აღების დედამიწის ზურგიდან, მით უმეტეს ახლა როდესაც ცოტათ თუ ბევრათ სხვა ერებთან შედარებით კავკასიის ერებმა შენარჩუნეს რევოლიუციის მონაპოვარი დემოკრატიული წყობილება. კონტრრევოლიუციონერებს და იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ვერ მოუნელებიათ ჩვენი თავისუფლება. ერთი მხრით რეაქციონერი დენიკინი ჯარებს აჯავუფებს ჩვენს საზღვრებზე და ლამობს კავკასიის დაპყრობას.

ძველი რუსეთის აღდგენა სურს არ ვიცი რამდენათ საფუძველიანია მოხალისეთა ჯარის და მათი სულის ჩამდგმელების იმედები ჩვენთვის კი აშკარაა რომ მათ სახით ჩვენ გვევლინება რეაქცია და „იმპერიალიზმ ცასიზმი.“ ამიტომ სასტიკი და შეუბრალებელი ბრძოლა გვმართებს მათ წინააღმდეგ, მეორე მხრით ზოგიერთი იმპერიალისტური სახელმწიფოები ქსელში გვაბამენ უნდათ დაგვქსაქსონ და შემდეგ მღვრიე წყალში ბევრი ეგება მათი გადმოსროლილ ანკესზე. იმდენი ჭკვა მახვილები ვერ გამოუჩენიათ, რომ შეიგნონ მომავალი საფრთხე და დროზე მოკიდონ საქმეს ხელი. მესამე მხრით გვყავს არა ნაკლები ისტორიული მტერი ეს ჯერ კიდევ ველური ოსმალეთია, სადაც კულტურის სხივებს არ შეეშუქებია სომხეთი ეს უუბედურესი ერი ქვეყანაზე თუ შეიძლება ასე ითქვას მის ნაცვლათ რომ დაგვიმგზავრდეს გამონახეს ჩვენთან სალაპარაკოთ საერთო ენა, მეგობრულ მგზავრობა გაგვიწიონ ათას მაბეს გვიგებენ ვერ მოუნელებია ჩვენი თავისუფლება, და მერე ვის ლუპავენ ისევ თავის თავს ვინც ადევნებს თვალს ყოველდღიური პრესას ან და პირადათ უნახია დღევანდელი სომხეთის მდგომარეობა იმისთვის აშკარაა, თუ რას წარმოადგენს დღეს სომხეთი. ოვარებული ლტოლვილები შიმშილი სიცივით ოხოცებიან, რადგან [illegible] ძლიერ ცოტა [illegible] ლეზიური ადათ ყოფობა ხოლ მუსრს ავლებს ისევაც განადგურებულ ერს. ერთად ერთი გზა მათთვის ხელსაყრელი საიდანაც შეუძლიანთ სუფთა ჰაერის შეზიდვა ეს ჩვენი რკინის გზაა. ამასთანავე ერთად ერთი ერი რომელსაც შეუძლია მათი დამფეგობრება ეს ქართველი ერია.

სომხეთის და საქართველოს ბედი თითქმის უმეტესათ ერთ გვარია ყოფილა. მოუხედავათ ამისა, ხომხის უვიცი პოლიტიკანები გვეთიშებიან ორა სურთ ჩვენთან თანხმობით მოდაწეობა.

ყოველივის მტკიცულათ გვაქცევიან ეს დაბეიწყებენ სომხეთის „ეიტები, რომ თუ ჩვენ გვაბიანებენ თვით საბარეს ითხრიან.

ერიად კრიტიკულ მდგომარეობაში ვიმყოფებით ჩვენ კერძოთ ქართველები, ბევრი კრიტიკული მომენტები გადავიტანეთ, მაგრამ უარეს პირობებში ვართ დღეს ჩავარდნილი. ერთი მხრით ბეგებისაგან აჯანყებული მუსულმანობა ოსმალების ჩეტნიკებით და აფიცრებით, მეორე მხრივ სომხების საიდუმლო ფაიცი-ფუცი, მესამე მხრივ კონტრ-რევოლიუციონერი ძალა დენიკინისა.

რიგორც ზევით მოვიხსენიეთ ბევრჯერ ყოფილა საქართველო გაპირველებულ მდგომარეობაში, მაგრამ ასე თუ ისევ გადაუტანია მომდგარი კრიზისი დღეს კი არა ნაკლები კრიზისია გადავიტანთ ამასაც შეეძლებთ ამ ფხეიდურების თავიდან აშორება საკითხი რომელიც ჩვენ წინ არის დადგა. მაგრამ ამაზე შემდეგ. ახლა კი გადავიდეთ კიდევ ერთ საკითხზე, რომელიც ჩვენ გაუგებრობის წინაშე გვაყენებს. დღეს რევოლიუციის ხანა და მისი ტალღები თანდათან ადგება იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ანგრევს ძველ წყობილებას დროებით რევოლიუციონური სახელმწიფოები სუსტდებიან ხანამ მათი ნგრევის ხანა იქნება.

რევოლიუციაა დღეს გერმანიაში მისი დრუბლები საფრანსეთს და ინგლისსაც შემოწოლია. ჩვენთვის რასაკვირველია სასურველია რევოლიუცია იმპერიალისტურ სახელმწიფოებში, მაგრამ ჯერჯერობით ეჭვი გვაქვს თუ ეს ასმა. ჯერ არ ამოხ. და თუ ინგლისში დაარსებული აქ ყოფილ ჯარი იძულებული იქნება, რიგორც გერმანელები სამშობლოს დაუბრუნდენ. საქართველოს დემოკრატია მაშინ რჩება ხალხულებით მარტო, თავის ძალების ამარა მას საფრთხეს უმზადებს იმპერიალისტები ოსმალეთი მეორე მხრით უტაკტიკო სომხეთი და კონტრ-რევოლიუციონერი მოხალისეთა ჯარი. გაიგებენ რა ჩვენი მოპირდაპირე მტრები განაახლებენ შემოტევას და ხაფრთხეში ჩაგდებენ რევოლიუციონერ დემოკრატიას. ეს ში ში რასაკვირველია ნაადრევია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში გასაგებალსწინებელია დღეს ჩვენ არავის იმედი არ უნდა გვქონდეს ჩვენი თავის ჩვენევ მოგვიხდება დაცვა სანამ საერთაშორისო კონფერენციაზე გამორკვევა პატარა ერთია მდგომარეობა, ჩვენ კერძოთ სოციალისტებს ორგვარი საფრთხე მოგვეელის ეროვნულ თავისუფლებას დაკარგვასთან ერთად პოლიტიკურ—სოციალისტური თავისუფლებისა ამ ტერი ლაზობს არა მარტო მოგვსპონ თიგორც ერი, არამედ სურთ ჩაახრჩონ ჩვენში რევოლიუციონური სული, სოციალისტური მოძრაობა ათასი თვალი, ათასი ყური გამჭრიახი ჭკვა ჩვენთვის დღეს საჭირო

დენნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს

მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია.

№ 6

ქუთაისის მცხოვრებნო მუშა-მაშვრალნო!

9 მარტს დანიშნულია **ხალალაქო არჩევნები.** ამ დღეს თქვენ უნდა წარსდგეთ ყუთებთან და აირჩიოთ თქვენი **ქალაქის მამები,** რომლებსაც უნდა **ჩააბაროთ თქვენი ცხოვრების სვე—ბედი.**

მაგრამ ვიდრე ამას ჩაიდენდეთ, თქვენ უნდა ჩაუკვირდეთ **თქვენს ყოფა—ცხოვრებას** და იმას, თუ რა ითმენდით აქამდის: **სიმშილს, სიტიტვლეს, სიცივეს, ხიბნელეს და საარაკო სიძვირეს.** თქვენ უნდა შეაფასოთ ისიც, **თუ რამდენათ გაანალდეს** იმ პირებმა და **პარტიებმა** თავისი **დაპირებანი,** რომლებითაც **წარსული** არჩევნების **წინ ოხვაად** გიმასპინძლდებოდნენ.

მიუდგომელი და **პირუთვნელი** მოქალაქე **ყველა** დაგვეთანხმება, **რომ** მაგ მამობა კი არა, მამისნაცვლობაც ვერ გაევიწიეს. **საწყალი** და ღარიბი ხალხისთვის **საქმელი** და **სასმელი,** სათბობი და **სანათიც** ვერ **მოგვიპოვეს.** ხალხი **სული** წმინდა **არ** არის, **რომ** ცარიელი **სიტყვებით** და **მარტო** ჰაერით **იკვებებოდეს** თუ **კი** რამ **გაკეთებულა,** ისიც **მხოლოდ** მდიდრების **სასარგებლოდ;** ღარიბებისთვის **კი ნაკლებათ** ვისმეს **უზრუნვია.**

ასეთი დიდი **ნაკლის** შეძლებისა **დაგვარად** შესავსებათ **ამ არჩევნებში** **პირველად** გამოდის **ჩვენი ახალი** მუშების **მიერ** დაარსებული, **უკიდურესი** მემარცხენე **და** წმინდა **სოციალისტური** მუშა—**მაშვრალთა** **პარტია.**

ეს **მაშვრალთა** **პარტია** მოითხოვს **რომ** **უწინარეს** **და** **უპირველესად** **ყოვლისა** **მთავარი** **ყურადღება** **საბჭოსი** **მიექცეს** **ქალააქის** **მაშვრალი** **ხალხის,** **სხვადასხვა** **დარგის** **მუშათა** **ყოფა-ცხოვრებას,** **საზრდო-საფოვაგისა,** **საცმელ-დასახურის,** **საბობ-სანათის** **შოვნა** **გაიაფებას** **და** **სხვა** **კულტურულ** **ეკონომიურ** **და** **სულიერ** **მოთხოვნილებათა** **დაკმაყოფილებას.**

ვინაიდგან, სამწუხაროდ, ყოველი ქალაქის საბჭო უპირველეს მზრუნველობას უწევს ყოველთვის ქალაქის ცენტრებს და მათ მცხოვრებლებს განაპირა და საწყალი ხალხის უბნები კი ყოველთვის მივიწყებული რჩებიან, **მაშვრალთა** **პარტია** **ყველაზედ** **უმეტესად** **ღარიბ** **და** **ჩაგრულ** **ხალხს** **და** **მათ** **უბნებს** **მფარველობს.** ამიტომ ეს პარტია მოითხოვს ამ განაპირა უბნებს მიექცეს განსაკუთრებული **ყურადღება:** კაიხსნას უფასო სასწავლებლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, საავადმყოფოები, დარიბთათვის თავშესაფარი სადგომები, სასადილოები და სასადლო სახლები. დაენიშნოს მათ უფასო ექიმ-ფერშალ-ბებია ქალები, ეძღვოდეთ ავადმყოფთათვის უფასოთ წამლები და სხვა დახმარებანი. კაიხსნას სხვა და სხვა ამხანაგობანი: გაშენდეს სახალისო და საბავშო ბაღები, სკვერები, მოედნები და დარსდეს ბაზრობანი. ქალაქის **ცენტრალურ** **საბჭოს** გარდა ამ გარეშე **უბნებში** უნდა **არსებობდნენ** ადგილობრივი სხვადასხვა **საჭიროებათათვის** ქვრივ-ობოლთა და ინვალიდთათვის სამზრუნველოები.

ბუნება ლამაზ ქალაქის კეთილსახიერების მისაცემად და სანიტარია-ჰიგიენის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მაშვრალთა პარტია მოითხოვს: დასწორდეს, დაფართოვდეს და მოიკირწყლოს ქუჩები უგელგან. როგორც ცენტრში აგრეთვე განაპირა უბნებში, კაშაგრდეს სანიაღვრო ხვეტები, შენობები შენდებოდეს ტექნიკოს-არხიტექტორთა გეგმით და მათი უფასო მეთვალყურეობით; გაკეთდეს ელეკტრონის განათება, ტრამვაი, წყალსადენი და კანალიზაცია.

ყველა ამისათვის საჭიროა სადგურები და სახელოსნოები და საზოგადოდ რასაც საერთო სახალხო მნიშვნელობა აქვს: როგორც მაგ. ქვისსატეხი ადგილები ხორცის, ფქვილის, შაქრის, მარილის, ნავთის და სხვ. პირველ საჭიროების დუქან-საწყობები, ათოთიქები, ბანო-სამრეცხაოები, ბურის საცხობები, და სხვა ამ გვარნი უნდა ქალაქის თვითმართველობის ხელში იქმნეს გადაცემული და მის მიერ ტექნიკის უკანასკნელ სიტყვა-მოთხოვნილებისამებრ მოწყობილი მოგვარებული.

ქალაქის განსადიდებლად და მცხოვრებთა განსამრავლებლად მაშვრალთა პარტია მოითხოვს: ქალაქის ტერიტორიის თავისუფალი ადგილები დაიგეგმოს და გადაეცეს უმწეოწყლო ღარიბ ხალხს და მათ ამხანაგობებს საცხოვრებლად და სამეშოდ.

ყველა ამის განსახორციელებლად კი ქალაქის თვითმართველობამ უნდა იშოვოს მთავრობისაგან სუბსიდია ანგრძელვადიანი სესხი.

ქალაქის ხარჯების განსასტუმრებლად და დასაფარავად უნდა შემოღებული იქმნეს შემოსავლის დაგვარად პროგრესიული გადასახადი, რომ მთელი სამძიმე ასეთ გადასახადებისა დაწვეს შეძლებულ მოქალაქეს.

ვინაიდგან სახლის პატრონთა მადა უაღრესად გამსუნაგდა და საწყალ ხალხს საშუალება არა აქვს ჰერ ქვეშ მოიქციოს თავი, მაშვრალთა პარტია მოითხოვს შეძლებულთ ზედმეტი ბინები ჩამოერთვათ და მშრომელთა შორის განაწილდეს საცხოვრებლად.

რომ აილაგმოს აგრეთვე მწარმოებელ მრეწველთა და ვაჭართა თვითნებობა და ულმერთოთ აწევა ფასებისა საქონელზე, რომელსაც ეს ვაებატონები აბრალებენ უმთავრესად მუშაო დროის შემცირებას და რომ მუშები მრეწველობა-წარმოებაში არ დარჩნენ უბრალო მოძრავ ვინტებათ, არამედ უკეთესად მოემზადნენ სოციალურ-რევოლიუციის შემდეგ დამოუკიდებლად საქმის მართვა საწარმოებლად და გასაძლოლად, მაშვრალთა პარტია მოითხოვს შემოღებულ იქნეს მუშათა კონტროლი მრეწველობაში.

რომ მუშის შრომა ღირსეულად იქნეს დაფასებული და არა დამქირავებლის ნება სურვილით მაშვრალთა პარტია მოითხოვს დაწესებული იქნეს ოთხეულიგე დროისა და პირობების მიხედვით სამუშაო ხელფასის მინიმუმი ე. ი. ისეთი ფასი, რომელიც აუცილებელი საჭიროებაა ადამიანური ცხოვრებისათვის.

ერთი სიტყვით მაშვრალთა პარტია მიიღებს ზომებს, რომ ქალაქის თვითმართველობა იქნეს გამოსახტელი და ადმსრულებელი მაშვრალი ხალხის სურვილებისა და ნებაყოფლობისა.

ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, რომ, ქალაქის მაშვრალ ხალხს მიეცეს უზენაესი უფლება ინიციატივისა და რეფერენდუმისა (თანხმობისა და დაკითხვა დადასტურებისა).

ამის გამო კი, თუ აღმოჩნდა რომ ამორჩეული საბჭო ვერა სდგას თავის სნმაღლეზე, ესეთი საბჭო უნდა **ვადაუნებული** იქნეს მცხოვრებთა მოთხოვნილებით.

დსბოლოს, მაშვრალთა პარტია ქალაქის საბჭოში აწარმოებს დაუცხრომელ კრიტიკას. და ბრძოლას ყველა იმ პარტიების წინააღმდეგ, რომელიც ამ მიზნებს ოდნავაც ასცილდებიან.

აი აა გადაწყვეტილებით და მიზნებით გამოვდიგართ ჩვენ ამ არჩევნებში და მოგიწოდებთ თქვენ, ქუთაისის ღარიბნო და ჩაგრულნო, მუშა მაშვრალნო ხალხნო, ვინც შეიგნეთ და გამოცდილებითაც დარწმუნდით, რომ აქამდის თქვენი ინტერესები ღირსეულად ვერც ერთმა სხვა პარტიამ ვერ დაიცვა, მოხვიდეთ ჩვენთან, თქვენთვის განწირული და თავდადებულ მებრძოლ ძმა-შვილებთან, შეგვმატოთ ძალა თქვენი ხმებით და დახმარებით და მაშინ გწამდეთ, რომ გამარჯვება თქვენია.

მაშ, გაუმარჯოს მაშვრალ ხალხს!
გაუმარჯოს მათ კავშირს!
გაუმარჯოს სოციალიზმს!
გაუმარჯოს № 6

საქართველოს მემარცხენე სოციალის-ფედერმლისტ-მაშვრალთა პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტი

ქუთაისის საქალაქო არჩევნებისათვის.

მიმდინარე მარტის 9-ს ქ. ქუთაისში მოხდება **საქალაქო** არჩევნები. ამ **არჩევნებს** **მოქალაქეთათვის** **დიდი** **მნიშვნელობა** **აქვს.** ღღეს **არსებული** **კანონის** **მიხედვით** **ქალაქის** **თვით** **მართველობის** **მოქმედედიბის** **ასპარეზი** **დიდი** **და** **ფართოა.** ქალაქის ცხოვრების **მოწყობა** **ამჟამად** **საესებით** ქალაქის **საბჭოს** **ხელში** **იქნება.** **ეს** **გარეგობა** **არ** **უნდა** **დაივიწყონ** **ქუთაისის** **მოქალაქეებმა** **განსაკუთრებით** **კი** **ქუთაისის** **მშრომელმა** **ხალხმა,** **რომელსაც** **უკვე** **ჰქონდა** **საშუალება** **გასცნობოდა** ქუთაისის ქალაქის საბჭოში სხვადასხვა პარტიის მოღვაწეობას.

საქალაქო **საბჭოში** ჩვენ **მოვითხოვთ** **სრულ** **მუნიციპალურ** **ავტონომიას** **რათა** **მუნიციპალური** **ორგანოები** **თვის** **კომპენტენციის** **ფარგლებში** **დამოუკიდებლობით** **საქმეებლობდნენ,** **ამასთანავე** **ერთად** **ქალაქის** **მართვა** **გამგობა** **დეცენტრალისტურ** **ნიადაგზე** **უნდა** **იყოს** **აგებული.** **ამ** **მიზნით** **ქალაქის** **უბნებში** **განსაკუთრებული** **საბჭოები** **უნდა** **დაარსდენ.** **როგორც** **საერთო** **სახელმწიფოებრივ** **კანონმდებლობის** **საკითხში,** **ისე** **საქალაქო** **მოღვაწეობის** **სფეროში** **მოქალაქეთ** **უნდა** **ეკუთვნოდეს** **რეფერენდუმისა** **დაინიციატივის** **უფება,** **რომ** **მათ** **რეფერენდუმის** **საშუალებით** **შეეძლოთ** ვადის **გასვლამდის** **დაითხოვონ** **როგორც** **დამფუძნებელი** **კრება** **ისე** **ქალაქის** **საბჭო,** **თუ** **ისინი** **თავის** **დანიშნულებასა** **და** **მოვალეობას** **ვერ** **ასრულებენ,** **ქალაქის** **თვითმართველობამ** **უნდა** **აღიაროს** **ქალაქის** **მოსამსახურეთა** **და** **მუშათა** **კავშირების** **სინდიკატები.** **ჩვენ** **მოვითხოვთ** **სრულ** **მუნიციპალიზაციას** **წყლის** **მიწოდების,** **განათების** **საქმეებისას—აფთიაქების,** **აბანოების.** **სამრეცხაოების** **და** **ხაზოგადოთ** **ისეთი** **დაწესებულებების.** **რომელნიც** **პირველი** **საჭიროების** **საგნების** **დაარუშავებასა** **და** **მიწოდებას** **ემსახურებიან,** **მაგ.** **ფურნეები,** **წისქვილები,** **ხორცის** **და** **ნავთის** **დუქნები** **და** **სხვ.** **საქალაქო** **გადასახადები** **ისე** **უნდა** **იყოს** **განაწილებული** **რომ** **იგი** **მშრომელთა** **მასას** **არ** **უნდა** **აწვებოდეს.** **ჩვენ** **შევეცდებით** **რომ** **ქალაქის** **მიწათა** **ყიდვა** **გადაცემა** **აკრძალულ** **იქმნას,** **ჩვენ** **ვიზრუნებთ,** **რომ** **ქალაქმა** **ააგოს** **ჰიგიენური** **და** **იაფი** **ბილები** **ღარიბთათვის,** **ხოლო** **ზედმეტი** **ბინა** **ყველა** **სახლის** **პატრონს** **ჩამოერთვას** **და** **განაწილდეს** **უბინო** **მშრომელთა** **შორის.**

ასეთია **მოკლეთ** **და** **დაახლოებით** ის **პლატფორმა,** **რომელსაც** **დაიცავს** **ჩვენი** **პარტია** **ქალაქის** **საბჭოში.**

ამხანაგებო! **თქვენ** **ხედავთ** **თუ** **რა** **ასულდგმულებს** **საქართ.** **მემარცხენე** **სოც.** **ფედ.** **მაშვრალთა** **პარტიას,** **თქვენ** **ხედავთ,** **რომ** **იგი** **უმთავრესად** **იმ** **აზრითაა** **გამსჭვალული,** **რომ** **მტლედ** **დაედვას** **მშრომელი** **ხალხის** **კეთილდღეობას** **და** **თქვენი** **ვალია** **შემოკრბეთ** **ამ** **პარტიის** **გარშემო** **და** **ხმა** **მისცეთ** **მის** **სიას** **№ 6**

საქ. მემარცხენე სოც.-ფედ მაშვრალთა პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტი.

ახალი ამბავი.

ოსმალები და მოკავშირენი.

გაზეთ ,,ჰანჩის'' ცნობით სტამბოლში ოსმალებს განზრახვა ჰქონდათ დაერღვიათ დროებითი ზავი მოკავშირეებთან, ამის გამო მოხდა შეარაღებულ შეტაკება რასაც მსხვერპლად მოჰყვა 150 ჯარისკაცი. ოსმალების მთავრობა მოკავშირეებს სტამბოლიდან განუდევნიათ.

შეკითხვა **მოსამსახურეებს** **რადგან** **ზოგიერთ** **გაზეთებში** **მოთავსებული** **იყო** **ცნობა,** **ვითომც** **საქართველოს** **რესპუბლიკის** **ზოგიერთი** **მოსამსახურენი** **მიწვეული** **იყვნენ** **თანამდებობაზე** **უცხო** **სახელმწიფოებში,** **იუსტიციის** **სამინისტრომ** **წინადადება** **მისცა** **სასამართლოს** **დაწესებულებათა** **უფროსებს,** **ოფიციალურათ** **შეეკითხონ** **ყველა** **მათ** **ხელთქვეით** **მოსამსახურეთ** **თუ** **რამდენათ** **მართალია** **მათი** **მიწვევა** **უცხო** **სახელმწიფოებისაგან** **და** **თუ** **მართალია** **რატომ** **განცხადება** **არ** **შემოაქვთ** **სამსახურიდან** **განთავისუფლების** **შესახებ-**

სახალხო **უნივერსიტეტში.** 6 მარტს საღამოს 7 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: 1) ნაფიც ვექილის მ. **ჩხეიძის**—,,სამართალის ცოდნა'', 2) ღ. შენგელაიას—,,ხელოვნებაზე''

სოხუმის **რუსთა** **ეროვნულმა** **საბჭომ,** როგორც გადმოგვცემენ შუამდგომლობა ალძრა ინგლისის მისიის წინაშე, რათა უკანასკნელმა დანშოს თავის დიპლომატიური წარმომადგენელი, სოხუმის ოლქში რუსთა ინტერესების დასაცავად.

ძარძვა **გლეჯა.** ღამით 5 მარტს ტერ-მარტიროსოვის ბინაზე, ყვირილის ქუჩაზე № 7 შეეიდენ 6 შეარაღებული უცნობი პირები და სიკვდილის მუქარის ქვეშ წაართვეს ტერ-მარტიროსოვს 50 ათასი მანეთი და სხვა ნივთები.

იმავე ღამეს ზლატოგორსკის ქარხანას, ვორონცოვის ქუჩაზე, მიადგენ ავტომობილით მამოდენიმე შეიარაღებული პირები მილიციონერის ფორმაში, ზოგი შეეიდენ ზლატოგორსკის ბინაზე და წაართვეს ფული 4 ათასი მანეთი და ძვირფასი ნივთები 46 ათასი მანეთისა.

საქართველოს **რესპუბლიკის** **მთავრობის** **განკარგულებისა.** მიმდინარე 1919წ. იანვრიდან ყოველი საუბრებლობა ტელეფონით ქალაქ. თბილისის ტელეფონის [illegible] ბულია 50-თ ამის [illegible] აბონენტებს ქ. თბილისის ტელეფონის ქსელის უფროსი სთხოვს მობრძანდნენ თბილისის ტელეფონის ქსელის კანცელარიაში და შემოიტანონ დამატებითი გადასახადი, არა უგვიანეს 15 მარტისა 1919 წ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხსნილი იქნება ტელეფონის აპარატი და გამორიცხული იქნებიან აბანენტთა სიიდან.

ჩვენს პარტიაში

ხუთშაბათს 6-ს მარტს შესდგება საერთო კრება მოწაფეთა, ახალგაზდთა და სტუდენტთა. მოხსენებას გააკეთებს ამხ. პ. კორქახია კრება გაიხსნება საღამოს სრულ 6-საათზე ,,ახალი ნაკადის'' რედაქციაში, დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

———

კვირას 9 მარტს შესდგება ჩვეულებრივი საერთო კრება საღამოსსრულ 6-ს საათზე მუშათა კლუბში მუშტაიდის ქ. № 15. დასწრება სავალდებულოა ყველა წევრთათვის.

———

შაბათს 6-ს საათზე დანიშნულია საქალაქო კომიტეტის კრება ,,ახალი ნაკადის'' რედაქციაში, განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები.

———

18 თებერვალს 1919 წელს. დ. წალენჯიხაში შესდგა მრავალრიცხოვანი საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიის კრება.

თავმჯდომარეობდა ლუკა კვარაცხელია მდივნათ არჩეულ იქმნა ვასილი ჭანია მოხსენება გააკეთა და პარტიული ნიადაგი გააცნო კრებას ვასილი ჭანიან, მას ერთვოდა ორგანიზაციის წევრები შემდეგი პირნი: თავმჯდომარეთ ლუკა კვარაცხელია, წევრებათ: ბათუ ბელქანია ლაუ ჭანიამ ლისტრატე კვარცხელია, დარია ჭ.-ა-ია ასული **და** სერაფიონი ჭანიკ. შემდეგ გაიმართა წევრების ჩაწერა კრება თავისა შემადგენლობით სალამს უძღვნის საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიას.

კრების თავმჯდომარე ლუკა კვარაცხელია

მდივანი ვ. ჭანია

———

პარასკევს საღამოს 9 საათზე ,,ახალი ნაკადის'' რედაქციაში სასახლის ქუჩა №5 ყოფილ სამხედრო კავშირის ბინაზე, შესდგება მემარცხენე სოციალ ფედერალისტ მაშვრალთა პარტიის ფარმაცევტა კრება. ამხანაგეს ვსთხოვთ აუცილებლათ დაესწრონ გასარჩევია ფრიად საჭირო სიკითხები.

დეპეშები

საქარ. დეპეშ. სააგენტო.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. **სამხრეთის** **ფრონტი.** დონეცის რაიონში ჩვენ სადგური ველიკოანატოლი დავიჭირეთ. დებალცევოს რაიონში ჩვენ მხარეზე გადმოვიდა 300 კაცი თოფებით დ. ტყვიისმფრქველებით. მილეროვოს მიმართულებით ნოვოჩერკასკის რკინის გზის აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილები ბრძოლით დიდი ბოროხინის ხაზზე გავიდენ. ცარიცინის სამხრეთ აღმოსავლეთით სადგურ მაროზოვსკაის დაჭერის დროს ჩვენ ხელთ ვიგდეთ 7 ორთქმავალი, 20 ვაგონი და ეაგონი 500 ყუმბარით. **ეკატერინოსლავი.** წითელი ჯარი ხერსონს მიუახლოვდა. ქალაქს მძიმე ზარბაზნებს უშენს. **გერმანელი** **თეთრგვა-**

ქუთაისის საქალაქო არჩევნებისათვის.

მიმდინარე მარტის 9-ს ქ. ქუთაისში მოხდება **საქალაქო** **არჩევნები.** ამ **არჩევნებს** **მოქალაქეთათვის** **დიდი** **მნიშვნელობა** **აქვს.** ღღეს **არსებული** **კანონის** **მიხედვით** **ქალაქის** **თვით** **მართველობის** **მოქმედედიბის** **ასპარეზი** **დიდი** **და** **ფართოა.** ქალაქის ცხოვრების **მოწყობა** **ამჟამად** **საესებით** ქალაქის **საბჭოს** **ხელში** **იქნება.** **ეს** **გარეგობა** **არ** **უნდა** **დაივიწყონ** **ქუთაისის** **მოქალაქეებმა** **განსაკუთრებით** **კი** **ქუთაისის** **მშრომელმა** **ხალხმა,** **რომელსაც** **უკვე** **ჰქონდა** **საშუალება**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდიელები და ბერძნები გაიქცენ. გერმანელთა თეთრგვარდიელების მატარებელი, რომელიც ნიკოლაევიდან ძიდიოდა, ლიანდაგიდან გადავარდა. ხერსონის დეპო და საადგური იწვის. ჩვენი ცხენოსანი მზვერავები ქალაქში შეიჭრენ. ქუჩებში ბრძოლა დაიწყო.

ბერლინი. თებ. 25. დესელდორფში შესულმა მთავრობის ჯარმა დაიჭირა სადგური და პალატის შენობა. სპარტაკელების ბელადებმა დამალვა მოასწრეს. დააპატიმრეს მრავალი სპარტაკელი. მათ ჩამოართვეს მრავალი იარაღი და ყუმბარები. **ნაუენი,** თებ. 23. ბერლინის მეუმრავლესი სოციალისტების ზოგიერთი წრეები მოითხოვენ სოციალისტურ ზომების დაუყოვნებლივ ცხოვრებაში გატარებას. გერმანიის ბლოკადით გამოწვეული ხალხის უკმაყოფილება თან და თან იზრდება. ბურჟუაზიული დემოკრატიული პრესაც კი მოსალოდნელ ეკონომიურ კატასტროფის შიშით მოითხოვს მუშათა საბჭოების დახმარებით დაჩქარებით ცხოვრებაში გატარონ სოციალიზაცია. მოკავშირენი განაგრძობენ გერმანიის ეკონომიურ იზოლიაციას რითაც გერმანელ მუშათა შორის უმრავლესობის ბელადთა წინააღმდეგ უკიდურეს მიმართულების გაძლიერებას ხელს უწყობენ.

პარიზი. მარტის 3. საერთაშორისო კომისია, რომელიც პეტლიურასთან სათათბიროთ გაემგზავრა და დავიდა და პოლონეთ-უკრაინის საფრმაკაციო ხაზზე უკრაინის წარმომადგენლების გადმოცემა ხელში უნდა გადავიდეს.

ბაზელი. თებ. 21. ვაშინგტონიდან გაზეთ „ტერბუნეს“ აუწყებენ: ამერიკიდან უნდა გადასახლდენ 8000 უცხოელი, რომელთაც ბალშევიკური პროპაგანდა ბრალდებათ.

„ერ.“

დემონსტრაციების აკრძალვა ბერლინში.

ბერლინის პირველი არმიის სარდლობამ გამოუშვა შემდეგი ბრძანება მუშათა გასაფრთხილებლათ: „რადგან მუშებს უბასუხისგებელ პირების ზეგავლენით მოუწოდებენ საერთო გაფიცვებისა და გამოსვლებისაკენ ამით მეორეთ ვაცხადებ, რომ მთავრობისაგან აკრძალულია ქუჩებში თავის მოყრა და ყოველგვარი დემონსტრაციები რაგვარი ხასიათისაც უნდა არ იყოს იგი. და იარაღით გარეკენ დემონსტრაციებს.

მუშების გაფიცვა. ჰუნგრეთში.

სამხრეთ უნგრეთში რკინის გზის მუშების გაფიცვების ჩასაქრობათ სერბიელები სასტიკ ზომებს იღებენ. ტემეშვარში რკინისგზის მუშებმა განაახლეს მუშაობა. დანარჩენები ისევ გაფიცული არიან და არ სურთ მუშაობის დაწყება სანამ უნგრეთის მთავრობა არ დაწესდება.

ბერლინი. თებერვლის 23. მთავრობის ჯარმა ქალაქი განაუ დაიჭირა. სპარტაკელების მეთაურები დაპატიმრეს. წითელი ჯარის კავშირს იარაღი აყარეს. თავადაც დაპატიმრეს. ბალაბში სამხედრო წესებია.

„საქარ.“

მაშვრალთა მგოსანი.)

2.

„მე რათ მინდა გაზაფხული!
„მისი მოსვლა მე რას მარგებს;
„სიცოცხლეს ვერაითოლებს,
„ვერ ამიწყობს ჩანგზე ჰანგებს?

აი რას ამბობს მაშვრალთა მგოსანი მართლაც და მის რად უნდა ასეთი ცივი და უშინაარსო გაზაფხული, რომელიც მას ერთფეროვან ცხოვრებას ვერ აათრთოლებს დიად იგი საესებით მართალია, როდესაც ვერ ურიგდება ტანჯვით და ვაებით საესე გაზაფხულს და ამბობს: „მე რად მინდა გაზაფხულიო“ არსებულ ცხოვრებისაგან უკმაყოფილო და თავისუფლების მაბიებელ მგოსანს, ცხადია, ვერ მოხიბლავდა გაზაფხული. მზიანი დღეები, თუ მას მაშვრალებთან ერთად სტანჯავდა,

მაშვრალთა განთავისუფლება და მის გათელილ უფლებების მოპოვება, აი ის დიადი აზრი, აი ის მრავალ მხრივ შინაარსიანი დევიზი, რომლის გარშემო ტრიალებდა პოეტის მღელვარე და ზღვისებრ დაუდეგარი სული. აი ეს უკანასკნელი საკაცობრიო მიზანი ალაპარაკებს ჩვენს მგოსანს, ის როგორც უალრესად მგრძნობიარე მგოსანი, კარგათ გრძნობს მაშვრალთა ტანჯვა ვაებას და მის აუტანელ მდგომარეობას, და სწორედ ამიტომაც არის, რომ იგი მთლად და გაბედულად უყივის მაშვრალებს, რომლებსაც არსებითად შეუძლიანთ იმ უკულმართ წესწყობილების სამუდამო დამხობა, რომელიც სულს უხუთავს მშრომელთა ნაწილს საზოგადოებისას.

უეჭველია მას სურს თავის გაბედული და მრისხანე ლექსებით გამოაფხიზლოს ის დროებით მიძინებული მუშებს, რომლებსაც კაპიტალიზმის მახეში არიან გამბულნი, და რომლებიც ქედს იხრიან მის წინაშე. დიახ, მისი უმთავრეს მიზანს შეადგენს მაშვრალთა განთავისუფლება და ამედგარი ბრძოლა უკულმართ დროებასთან. აი სწორედ ასეთ სულის კვეთებით და მიდრეკილებით არის სავსე მისი დიადი პოეზია. და თუ ეს ასეა, ბატონებო მაშინ დიდი დანაშაულობა იქნება თქმა იმისა, რომ, იგი პარტიულ ნიადაგზე იდგეს და თავის შემოქმედებას პარტიულ ფარგალებში ამწყვდევდეს, (ეს როგორც ბ-ნ ვახ. კოტეტიშვილს და ბევრ სხვებს გონიათ) უეჭველია ასეთ ცალ მხრივ დაფასება ორ. ევდოშვილის პოეზიისა აფსურდია.

ცხადია, მისი პოეზიის ორ ნაწილად გაყოფვა დიდი დანაშაულობაა, უნდა ვსთქვათ, რომ თავის შემოქმედების მეორე ნახევარში ევდოშვილის პოეზიას მეტი სიხალისე და ცხოველმყოფლობა ემჩნევა, რაიც არ შეიძლება მივაკუთნოთ პარტიულ ზეგავლენას. დიახ, თავისუფალ მოაზროვნე მგოსანს სრულებით არ ემჩნევა პარტიული სულისკვეთება, იგი მხოლოდ და მხოლოდ ერთი აზრით არის გატაცებული, და ეს აზრი, როგორც მოვიხსენიე არის მუშათა კლასის კეთილშობილ დღეობა და მისი უკულმართ ცხოვრების გაუჯობესება.

და ვინც ამას არ ატყობს ევდოშვილი შემოქმედებაში, მას ცხადია არსებითად არ ძალუძს ჩაუკვირდეს და ლიად მიწვდეს მისი პოეზიის სილრმეს.

აქ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ პოეტს მარტოობა და სულის ობლობაც ძლიერ აწუხებდა, იგი როგორც მის შემოქმედებიდან, სჩანს გამუდმებათ ეძებდა ნამდვილ მეგობარს, რომელიც იოტის ოდნავად მაინც მალამოს დასდებდა მის ტანჯულს გულს ის ეძებდა ისეთ ჭეშმარიტს მეგობარს, რომლისთვისაც შეეძლებოდა გაეზიარებია თვის სევდა ვარამი მოუსმინოთ რას გვეუბნება თვით მგოსანი.

„გულს გული უნდა თვის ჭირთა თანამგრძნობელი:
„არ ყავს იგი,— კუბო არის მისთვის სოფელი.

მგოსანი თავის ლექსებში ბევრს ადგილას უხმობს მეგობრებს აქედან ცხადია. რომ მას ერთი მხრივ სულჯავდა და ეს უკანასკნელი ერთგვარ ზეგავლენას ახდენდა მის ცხოვრებაზე.

თავის კრიტიკულ განხილმაში ბ-ნ კოტეტიშვილი გვეუბნება: რომ „იგი თავის სამშობლოს ვერ იხსენიებდა და თუ სადმე მოიხსენიებდა სიმბოლოებითლა ლაპარაკობდაო“ აი აქედან ცხადია, რომ ბ-ნ კოტეტიშვილი არ იცნობს ევდოშვილის პოეზიას და თუ იცნობს განზრახ ამახინჯებს, გადაშალეთ, ბატონებო. ევდოშვილის თხუზულება და იქ თქვენ ნათლად ნახავთ სამშობლოსადმი მიძღვნილ ლექსებს, რომელიც ვერ შეუმჩნევია ბ-ნ კოტეტიშვილს. ბ. კოტეტიშვილი გვეუბნება: „ევდოშვილის ყურადღებას ტანჯული მუშა და მისი მტანჯველი იპყრობდაო, მერე კიდევ განაგრძნობს რომელმაც გაიტაცა საზოგადოება და მრავალი მიმდევრები გაიჩინა ყოველ კულტურულ სახელმწიფოში ამის შემდეგ დიახ, ევდოშვილი ქალაქის მგოსანიაო“ აი ბატონებო ის სიტყვები რომელშიაც ნათლად გამოსჭვივის ავტორის ულოდიკობა საინტერესო ვიცოდეთ ვინ გაიჩინა მიმდევრები ყოველ კულტურულ სახელმწიფოში კოტეტიშვილებმა? თუ სხვებმა?... ალბ ჩაუკვირდით მკითხველნო რა აზრი გიმოდის აქედან.

შემდეგ წერილში ჩვენ უფრო ვრცლად მოვილაპარაკებთ ევდოშვილის პოეზიის ცალ-მხრივად დაფასების შესახებ.

(შემდეგი იქნება)

ტ. წალენჯიხელი

ჩვენი გზა.

ჩვენ ვამბობთ თუ ჩვენს პარტიიდან გამოყოფას პრინციპიალურ განსხვავებას არ უდებენ სარჩულად და სოვიერთებს უსამართლოდ მიაჩნიად, მე ვფიქრობ. ამნარი მსჯელობა არა სწორ აზროვანი და არც სოციალისტური თვალთ საზრისით მვასა მართლებენ, როცა რომელიმე პოლტიკოსს უსაფუძვლოდ მიაჩნიად ჩვენი პარტიიდან გამოყოფა და ახლის დაარსება, მაგრამ ჩვენ როდესაც ეს გაბედული ნაბიჯი გადავდგით ცხადია ერთი მოსაზრებით ვხელძღვანელობდით. ჩვენ არ ვლალატობდით სოციალისტურ ზგას, სოციალიზმს იდეას;

და ბოლოს და ბოლოს თუ მათთლა მუშებისათვის საოცნებო რამედ არ გადაქცეულა ეს სოციალიზმი. მაშინ ჩვენ სწორ და ტუყურად მიგვანჩნია ეს გზა, რომელზედაც დავდექით ერთი ნაწილი მუშებისა: და ანგარიშს ვუწევთ საერთო მოვლენას, დინჯი და მოფიქრებული აზრით შეხვდით ევროპის სოციალურ რევოლიუციას და ჩვენც როგორც ნამდვილი შვილები რევოლიუციისა ანგარიშს უნდა ვუწევდეთ მსოფლიოს ახალ-ახალ პერსპექტივებს; გამოძახილი კი საერთოშორისო პროლეტარიატისას უგდებთ ყურს და მასოფლიოს პროლეტარიატის თავის დროზე, როგორც შვიცარიაში, რევოლიციისა ჩვენი ხმაც უნდა შეურთოდ-ჩვენი ხმაც უნდა გაის მოდეს სოციალიზმისთვის პროგრესივალე ბრწოლაში გამარჯვებისათვის;

აი მიზანი ჩვენი გამოყოფისა და გზა მუშათა საქმიანობისა. ჩვენ ვამბობთ მუშათა კლასისთვის არ ნრინ დამაკმაყოფილებელი მხოლოდ პოლიტიკური თავისუფლება და მხოლოდ ბურჟაზიული პარლამენტი, არა „მუშათა განთავისუფლება მუშათა საქმიანობაა“ იდეა კი მუშათა სოციალური განთავისუფლების ჯერ შორს მუშების სქელ კანიანმა მეჯლებმა უნდა გადაიტანოს მთელი თვისი სიმძიმით;

მარტო თბილი კაბინეთებში ნაწერი, თავის თავად არ განხორციელდება თუ იგი პრაქტიკულად თვით მუშებმა არ განახორციელა; უმრავლესობა იტელიგენტების ერთნაირი ჭირვეული არიან, დაჭირდებათ მარჯვნით სწერენ დროთ ამიხვედით ხან და ხან კიდევ უკიდურეს მემარცხენეობასაც არ ერიდებიან. დღეს ფედერალისტობენ ხვალ ნაციონალ დემოკრატობენ, ბოლოს კიდევ კომუნისტობენ, მაგრამ თავის თავს, რომ შეეკითხებოდეს ავტორი კარგს იზამს, რამდენად იგი მას გულწრაფელად სწერდა: არა ბ. თედო! ეგ შენი „კომუნიზმი“ არ უნდა იყოს გულწრფელად მუშებისთვის დაწერილი მე კი არა მგონი რო დაუფიქრდეთ თქვენც ეკვი შეგეპარებათ. არა მგონია მაგ გახიწნილი გადაგგებული ძვალით თქვენ ველარავის მოატყუებთ, ეგ იმ-დრამატიული საზოგადოება და სხვა... აქვეა მოთავსებული რაიონული კომისარის სამართველო, ტელეფონი, ერთი სიტყვით, კაცს ესიამოვნება ნახვა.

მაგრამ, თუ გაეცნო სათითაოდ ყველას, მაშინ მწუხარებით გული ეევსება. არის ფოსტის განყოფილება. მაგრამ ეს რამდენი თვეა ფოსტას ფოსტის მომტანი ეტლი არა ყავს. სამკურნალომ ხომ უკანასკნელ დროს საექსპლოატაციო ხასიათი მიიღო; ფერშალს მოიწვევს კაცი თუ ეჭიმს, იმდენს თხოულობენ, რომ თითქოს ყველა ძველი მათ მიერ აღებული ვალი ავადმყოფმა უნდა გადიხადოსო, კოპერატიული საავადოს კაცს შეუძლია თამამად სპეკულიაციის საავადოს უწოდოს, შიგ ისეთი კაცია, ჩარჩი, ჩაყენებული, რომ კოპერაციის ხსენებაც კი ზიზღს გვრის და ის მთელის არსებით კოპერატიის დამხობას ეფრო ხელს შეუწყობს. ვიდრე აყვავებას რადგან იგინი ცნობილი ჩარჩია. თეატრი უყურადღებობით კრამიტებ მოხდილია და შიგ ისე ჩადის წყალი როგორც ცის ქვეშ და ამოტენა ამაგი ოხრდება უპატრონობით.

არსებობს რაიონული კომისარიატი, კაცი იტყვის აქ მეტი წესიერება იქნებაო, მაგრამ შესცდებით. ისეა სოფელში მიკიტნის დუქნები, რომ მთელი „ბაზარი“ სავსეა. ჩაიგდებენ ხელში წურბელა ხალხი ბეჩავს მშრომელს, დაათრობენ, და ბოლოს უკაპეიკოთ გამოისტუმრებენ. ამ სიბოროტეს ახლახანს ზედ დაერთო უფრო მეტი საზიზღრობა: მედუქნე არმენიკას მეთაურობით თბილისიდგან მოიყვანეს მეძავი ქალები და ყველა შემაძრწუნებელ საქმეს გარყვნილობაც ზედ დაუმატეს. მიკიტნის დუქნებთან არსებობენ. „მედუქნეთა აძალა“, ჩაიელით „ბაზარში“ ნახავთ ქუდ მოღერებულებს, ქეიფობენ და კი არ მუშაობენ, საიდგან არის საქეიფო ფულები, ალახმა უწყოს.

ჩვენშიც მოხდა დამფუძნებელ კრების არჩევანი არჩევნებში დიდი ძალმომრეობა იყო და მასთან ხალხის მოტყუილება.

არჩევნები ვიდრე დაიწყებოდა, საარჩევნო კომისიის წევრებმა მიხეილ დაფქვიაშვილის პირით გამოაცხადეს, რომ ცხრა ნომერი გაუქმებულია და არავინ ჩაყაროთ მე ხმის მიცემაში არა ვარ დაინტერესებული. ვისაც გინდა ხმა მიეცით. ოღონდ ცხრა რადგან გაუქმებულია, ტყუილათ ხმები დაიკარგებაო. ბევრი უკმაყოფილო იყო აიღო და ბიულეტენი გადაყარა. ხმა ალარავის მისცა და სახლში წავიდა მოტყუილებული.

არ ვიცი, ამ მატყუარა მიშა დაფქვიაშვილს რა აინტერესებდა, გონი ისიც ხუთ ნომერში ყოფილა კანდიდადად წამოყენებული და მუცელი იმისთვის სტკიოდა. ამბობენ, მითომ ფედერალისტი არისო და მიკვირს ნუთუ მართალია? თუ მართალია მაშინ მატყუარა ფედერალისტი ყოფილა.

ვი—ცი.

სოფ. საგარეჯო.

თბილ. მაზრა.

სახელი ბევრია, სახრავი არაფერია, ეს ანდაზა ზედ გამოჭრილია სოფ. საგარეჯოზე. უცხო პირი რომ მოვიდეს და ერთი თვალის დაკვრით გადახედოს სოფელს, იტყვის ეს სოფელი კი არა, პატარა ქალაქია. თქვენ შეგხვდებათ აქ, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, აფთიაქი, ფუფასო, სამკურნალო ფერშლით, ბიბია ქალით, ექიმით, მომხმარებელი საზოგადოება—კოოპერატივი, მშვენიერი თეატრის შენობა, ორ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, დრამატიული საზოგადოება და სხვა... აქვეა მოთავსებული რაიონული კომისარის სამართველო, ტელეფონი, ერთი სიტყვით, კაცს ესიამოვნება ნახვა.

მაგრამ, თუ გაეცნო სათითაოდ

რედაქტორ-გამომცემელი.
სარედაქციო-კოლეგია.

მსატვარი
დიანოზ კიკნაველიძე
ილებს და ადიდებს სურათებს
სწრაფად და ლამაზად ასრულდებს სხვა და სხვა
სადნებს ხელსაყრელ ფასებში.
მისამართი: სამეოლნის ქუჩა № 1.

ქართული სტამბა „ბეჭდვითი ამხანაგობის“, გოლოვინზე ქუჩ. ტელ. 4—73.